№ 258 ნოემბერი 28, კვირა 1877—1893 ნოემბერი 28, კვირა 258 №

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლ'ში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებ'ში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.



ქართული თეატრი

კვირას, 28 ნოემბერს,

ქ. გაბუნია-ცაგარლისა და ბბ. ალ.-მესხიშვილის და ყიფიანის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

I

ყაჩაღები

დრ. 5 მოქ. შილლერისა, თარ. ავალიშვილისა

II

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

კომ. 1 მოქ., თ. რ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებენ: გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, მაქსიმიძისა და სხ., ბბ. მესხიშვილი, ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ 7½ საათზედ

ვკისრულობ

ყოველ გვარ **სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს** სახელმწიფო დაწესებულებანში საწარმოებლად, ვწერ ყოველ გვარ **არზებს**, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების** ბანკებში **დაგირავებას** და სხ.

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(10—7)

Энциклопедическій Словарь

*См. 4-ую стр.*

См. 4-ую стр.


ქართველთა სავაჭრო ამხანაგობა

შუამავალი

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა ამხანაგობის ხაზინადრად დანიშნულია ბ-ნი ადამ ბერულაშვილი (მიხეილის ქუჩა, ღვინის სავაჭრო „მელაანი“) და ვისაც ჰსურს წევრად ჩაწერა, უნდა განწესებული საწევრო გარდასახადი წარადგინოს ანუ თვით ხაზინადართან და ანუ მის გარდასაცემად „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში. (2—1)


## ტფილისი, 28 ნოემბერს

ჩვენს პატარა ქვეყანაში, სადაც მკვიდრთა მოქმედების ასპარეზი ცხადად არის შემოფარგლული, სადაც ყოველი საქმე და ვითარება მცხოვრებთა მაზრის უფროსის კანცელარიაში და მომრიგებელ-მოსამართლის ოთახში სწყდება, სადაც არსებით საგნების შესახებ, რომელიც სული და გულია ადამიანის ბედნიერებისა და სიცოცხლისა, სადაც, პოეტისა არ იყოს,

„სიტყვები გულში იბადებიან,
მაგრამ უხმოდვე გულში კვდებიან“...

სადაც ასეთი მდგომარეობაა,—იქ მაზრის ადმინისტრაციის გამოცვლა, და ნამეტურ მთლად ერთიანად, უმცროსისაგან დაწყებული უფროსამდე, უეჭველად საყურადღებო და აღსანიშნავია.

დიდს ქვეყანაში, სადაც ერი საგანგებო კაცებს ირჩევს თავის საქმეთა და ბედის გამგეთ, სამინისტროების გამოცვლა აქვთ საინტერესოდ და სამნიშვნელოდ, ხოლო ჩვენ ჩვენი პატარა მოხელე კაცების დაცვლა და გადაყვან-გადმოყვანა-და ერთის ადგილისაგან მეორე ადგილს უნდა გვქონდეს საგრძნობელად.

გუშინ-წინ „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ ლეჩხუმის მაზრის უფროსი ალშიბაია დაინიშნა ოზურგეთის მაზრის უფროსადაო.

ამ ამბავს ჩვენ გვსურს მივაქციოთ განსხვავებული ყურადღება, რადგანაც გურიის საქმეები, იქაური დამოკიდებულება მკვიდრთა და მოხელეთა შორის დიდი ხანია გამხდარა ისეთ საგნად, რომლის გამოც ლაპარაკობს არა მარტო გურია, არამედ დანარჩენი ნაწილიც ჩვენის ქვეყნისა.

კარგა ხანია მას აქეთ, რაც გურიას ვერ შეეთვისა ვერც ერთი მაზრის უფროსი. ერთის შეხედვით ეს მართლა რომ გასაკვირველი საქმეა. როგორ მოხდა, რომ იმ ხალხთან, რომელსაც ყოველი საჭირო თვისება აქვს, რომ კაცმა შეითვისოს, შეიყვაროს და ადვილად გაიცნოს, ასე გასჭირდა სიყვარულითა და მეგობრულად ცხოვრება... აბა ნახეთ გურული: მარდი, გონება მახვილი, ენა მოსწრებული, თავაზიანი, და თქვენ არ დაიჯერებთ, რომ ამ ხალხში საქმის გაკეთება, მშვიდობისა და წესის დამყარება გასაჭირიაო.

მაგრამ გურულს ერთი ისეთი თვისება აქვს, რომელიც დიაღ დასაფასებელია და პატივსაცემი, და ეს თვისებაა უთუოდ რომ უშლის ხშირად მშვიდობიანათ და გმაყოფილებით მოაწყოს თავისი ცხოვრება. ეს თვისება გურულისა არის თავმოყვარეობა, მით უფრო პატივ-სადები, რომ წარმომდგარია საკუთარის ღირსების გრძნობისაგან.

როდესაც ეს უმთავრესი ეროვნული თვისება გურულისა მიღებულ იქნება ერთს ისეთ ელემენტად, რომელსაც სიფრთხილითა და პატივით უნდა მოეპყრას ადამიანი, ეჭვი არა გვაქვს, გურული ეს დღევანდელი ვითომ და მოუსვენარი კაცი ყოველ მშვიდობიან არსებაზედ უმშვიდობიანესი და ულმობიერესი იქნება.

მაგრამ ეს გრძნობა თითონ ადამიანსავე უნდა უღვიოდეს გულში, თითონვე უნდა იყოს გამსჭვალული თავისუფლებისა და პატივსაცემ თავმოყვარეობის გრძნობით. მაშინ იმისთვის ადვილი გასაგები იქნება სხვისი წყურვილიც ადამიანურ ღირსების დაცვისა.

ქვეყნის კეთილად მართვისათვის პირველი და უაღრესი საქმე ის არის, რომ მართველი სამართლიანობითა და სათნოებით განიმსჭვალოს და სადაც-კი ჰპოვოს ეს ღირსება, ყოველგან ჯეროვანი პატივი და ფასი დასდოს.

რა სათქმელია, რომ ისეთს ხალხში, რომელიც 70 ათასამდე ითვლება, შრომობს და მხოლოდ თავის ნადვაწზედ არის დამოკიდებული, ავ-კაცობას რაიმე საფუძველი და ძირი ჰქონდეს!

მაგრამ ჩვენ შემცდარი აზრი გვაქვს ხოლმე შემდგარი როგორც თითოეულ ადამიანის, აგრეთვე მთელის ხალხის შესახებ და ამ ჩვენისავე უკუღმართის აზრისა და იჭვის წყალობით ვეძებთ და გვინდა ვიპოვნოთ ბუნებაში ის, რაც არ არსებობს.

ვერა ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა
ვისაც არა აქვს ერის სიყვარული და შეწყნარება

ახალის მაზრის უფროსის დანიშვნა გურიაში, რასაკვირველია, მიჩნეული იქნება იქ, როგორც ნიშანი მშვიდობისა და მოსვენებისა; ბ-ნი ალშიბაია საკმაო კარგად გამოცდილი მოხელეა და იმედი გვაქვს, არ განიმეორებს იმ ზოგიერთის შეცდომას, რომლის წყალობითაც ჩვენის მშვენიერის ქვეყნის ბედი მთლად აირ-დაირია.

ახალი მაზრის უფროსი, რასაკვირველია, არ მოინდომებს დაემსგავსოს იმ მოხელეთ, რომელთაც ჰგონიათ, რომ ყოველ ნაკლულევანებისა და სენის წამალი მათრახიაო!

არა, ეს ცუდი და დაგმობილი საშუალებაა და ამით ერის ცხოვრებაში სინათლესა და სიკეთეს ვერა ვინ შეიტანს. ამას გარდა გამოცდილებითაც არის გამორკვეული, რომ ასეთს წესს არც თვით ავტორთათვის მოაქვს კეთილი ნაყოფი.

მეველე

## ახალი ამბავი

*** დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია წარმოდგენა ჩვენის საუკეთესო მოთამაშეთა მონაწილეობით. არდგენენ შილლერის დრამას „ყაჩაღებს“, რომელშიაც ვლ. ალექსიევ-მესხიშვილი თამაშობს თავის საუკეთესო როლს ფრანც მოორისას. კ. ყიფიანი შეასრულებს მაქსემელიან ფონ მოორის როლს. ამავე საღამოს ნ. გაბუნიას ასული და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება თავ. რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“.

*** მორიგი კრება ტფილისის ქალაქის საბჭოსი დანიშნულია ხვალ, 29 ნოემბერს, საღამოს 7½ საათზედ. განსახილველად დანიშნულია, სხვათა 'შორის, წინადადება ქალაქის მოურავისა შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შესახებ 1894 წლისათვის, მოხსენება აღაპიევისა და ბაბოვისა ქალაქის პირველ-დასაწყის სასწავლებელთა გამო და მოხსენება გამგეობისა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის დანიშვნის თაობაზედ.

*** ოპერისა და მუსიკის მოყვარულთ ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა ვახაროთ: ბ-ნს ფორკატის მოუწვევია ცნობილი მომღერალი იტალიელი ქალი ერსილია ანკარანი, რომელიც ამ ცოტა ხანში დაიწყებს მღერას ტფილისის საზაფხულო თეატრში.

სია იმ ოპერებისა და დღე პირველის წარმოდგენისა ამ მომღერალის მონაწილეობით ცალკე იქმნება გამოცხადებული გაზეთებში.

*** ნავთის-მწარმოებელთა კავშირს, თუ ვინიცობაა მას ნავთის-მწარმოებელთა 85% მიემხრო, შეღავათი მიეცემა ამიერ კავკასიის რკინის გზით საზღვარ-გარედ ნავთის გატანაში. თითო ფუთზედ გადატანის ფასს 7 კაპეიკს დაუკლებენ.

*** დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად ვალერიან გუნიას „დრამები და კომედიები“, წიგნი მეორე. ფასი 60 კაპ.

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი ქუთაისის საазნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის სამის წევრისაგან, რომელსაც ვბეჭდავთ აქვე.

*** ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილმამულო ბანკისა უმორჩილესად ჰთხოვს რედაქციას დაჰბეჭდოს ერთჯერ უმახლობელესს „ივერიის“ №ში წარმოგზავნილი ამასთანავე განცხადება ბანკის წევრთა საზოგადო კრების მოწვევაზე 20 მარტისთვის მომავლის 1894 წლისა.

თავმჯდომარე-წევრი კომიტეტისა ლოლუა.
კომიტეტის წევრი მ. ქიქოძე.
სპ. ჯორჯიკია.
ბანკის საქმეთ-მწარმოებელი გ. ლოსაბერიძე.

## ფელეტონი

### მნათობი აზიისა

(ერთი ხანა ედვინ არნოლდის პოემისა)

I

დილა იყო გაზაფხულის,
საამო და სანარნარო,
გადმომფენი სიხარულის,
დამატკბობი, სანეტარო;
ცა ღვთის მადლით აღვსებული
დედამიწას დაჰხაროდა,
ცის ქვეშეთი მოკაზმული
სულის ჩამდგმელ მადლსა ჰგრძნობდა;
ატყვევებდა გულს, გონებას
ეს დიადი მშვენიერი,
ყველა ჰგრძნობდა ნეტარებას,
ყველა იყო ბედნიერი...
ამ დროს, სადაც ჰიმალაის
მთა თვალ უწვდათ აზიდულა,
თითქო ბურჯად შვიდკეცი ცის
მედიდურად შებურულა—
უცხო გუნდი თეთრის გედის
მოფრინავდა სიხარულით,
მადლიერი თავის ბედის,
აღვსებული სიყვარულით:
თავს დასტრფოდნენ მწვერვალებსა
და იმ არეს შეხაროდნენ,
სადაც ზრდიდნენ თვის ბარტყებსა
და ბუდეებს აკეთებდნენ.
ნავარდის დროს ერთმანერთსა
შესტრფოდნენ და ამბორს ჰყოფდნენ,
ლამაზს, სპეტაკს შლიდნენ ფრთებსა
უდარდელნი ტრიალებდნენ...
ამ სურათით გულ-დამტკბარი
დევადატა იდგა ველად,
მოემარჯვნა შვილდ-ისარი,
სამიზნოდ და სატყორცნელად.
მეფის იყო ის ძმისწული,
ახალგაზდა, მკვირცხლი, მარდი,
ნადირობის მოყვარული,
მშვენიერი, ვითა ვარდი...
მხიარულ გუნდს წინ უძღოდა
კულაოზი... მძლავრად, ჩქარა
ფრთას აქნევდა, თითქო ჰსურდა
გაერღვია ცის კამარა.
დევადატამ გედთ წინამძღვარს
მიუმიზნა და ესროლა,
ფრთაში მოხვდა ამპარტავანს
და სიმწარით გადმოჰქროლა.
საბრალოს ფრთა, თოვლის მსგავსი,
სისხლსა წითლად შეეღება,
თვალებიდგან, ვით ალმასი
გარდმოსთხია მწუხარება...
დაკოდილ გედს მოჰკრა თვალი
მეფის ძემან სიდართხამან,
მიირბინა და საწყალი
თვის კალთაში ჩაისვა მან;
დაამშვიდა, დააწყნარა,
გაუსწორა ლამაზს ფრთები,
ალერსითა გაახარა,
აუყვავა იმედები;
ამოართვა გედს ისარი,
გარდაუსვა ნაზი ხელი
და მალამო გასახარი
წყლულს დაადო მარგებელი!..
არ ეცალა ბატონიშვილს,
მწვავი წყლული თუ რა არი
და საცდელად თავის ხელს, ჩვილს
მახვილ წვერით ჰკრა ისარი,
და როს ჩხვლეტამ გაამწარა,
ტანში ჟრჟოლამ დაურბინა,—
მან ცრემლები გადმოყარა,
საბრალო გედს დაადინა;
და მუნ მეტის სიყვარულით
ფრთა მოტეხილს უალერსა,
თანაგრძნობით, სიბრალულით
წმენდდა ობოლს თვალზე ცრემლსა...

II

მოესალმა მეფის ძესა
დევადატის მოყმე ერთი,
მოახსენა: „გედსა ერთსა
გაურისხდა ზეცით ღმერთი—
ბატონისა მას ისარი
მოხვდა!.. მოჰკლეს, გარდმოაგდეს,
ვარდთ ბუჩქებში გდია, არი,
რომ წავიღო ის—მიბრძანეს“.
— ვერ გაგატან! მართალია

*** კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლე შერემეტევისა დღეს დილით გაემგზავრა მოსკოვს.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალი გრაფი ტატიშჩევი გუშინ საღამოზე აბასთუმნიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** კრება კავკასიის გუბერნატორების ტფილისში გათავდა და გუშინ ტფილისიდგან გაემგზავრნენ ქუთაისის გუბერნატორი გენერალი შალიკოვი, განჯის გუბერნატორი გენერალი თავ. ნაკაშიძე და ბაქოს გუბერნატორი დ. ს. ს. როგგე.

*** რადგანაც ამ წელს განჯის გუბერნიაში პური ცოტა მოვიდა და მცხოვრებლებს დასათესად და საჭმელად სამემრისოდ პური არ ეყოფათ, განჯის გუბერნატორი სთხოვს შუამდგომლობას მთავარმართებელს მთავრობასთან, რომ გლეხთა საზოგადოებას ფული, პურის სასყიდლად და დასათესად, ახალ მოსავლამდე ასესხოს.

*** რადგანაც ბაქოდგან ტფილისში ამ უკანასკნელს დროს ცუდს ნავთს ჰგზავნიდნენ, ბ-ნმა როგოზინმა ტფილისში ამ დღეებში ნავთის ქარხანა გაალო, სადაც ბაქოდგან მოსულს ნავთსა სწმენდს და ისე ჰყიდის.

*** ყარსის ოლქში, როგორც იქიდგან იუწყებიან, რაღაცა ცხენის ჭირი გაჩნდა რომლითაც მრავალი ცხენი დაიხოცა. ამ დღეებში განკარგულება მოხდება იმის შესახებ, რომ ყარსიდგან ბეითანის გაუსინჯველად არც ერთი ცხენი არ მოიყვანონ ტფილისში გაგასყიდად.

*** პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მზრუნველი გ. მ. პავლოვი სთხოვს ამ საზოგადოების მმართველობას, რომ მან იშუამდგომლოს ქალაქის მმართველობის წინაშე, რათა რკინის გზის საქონლის სადგურის ეზოდგან ბულვარის ქუჩამდე მეიდანი ქვით მოფინონ, რადგანაც ეხლავე, როდესაც ჯერ ტალახები არ არის, მრავალ დატვირთულ ეტლს ღერძები ემტვრევა და ცხენებს სტანჯავენ. ეს გზა ისე წამხდარია, რომ ზამთარში აქ ეტლების მისვლა-მოსვლა ყოვლად შეუძლებელი იქნება.

*** რკინის გზის სადგურ „კასპის“ ახლოს საქონლის მატარებლიდან № 44, ამ თთვის 25-ს კონდუქტორი ნოვომაძე ჩამოვარდა და თავი ძალიან დაუშავდა. დაშავებული ნოვომაძე რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ ექიმებს მის მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** დარუბანდი: ამ ცოტა ხანში აქ რაღაც სნეულება გავრცელდა, რომელიც ორის დღის განმავლობაში ავადმყოფს წუთის სოფელს ასალმებს. აქამდისინ ხსენებულ სნეულებას ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ ეხლა-კი თავზარი დასცა მცხოვრებლებს ამ მოუწვეველმა სტუმარმა. ექიმები ამბობენ, რომ ეს სნეულება ავის თვისების ციება არისო, სხვას არ გადაედებაო, მაგრამ აგეთი ნუგეშის ცემა არვის აკმაყოფილებს, რადგანაც ყველა ჰხედავს,—თუ როგორ მძვინვარებს ეს რაღაც ციებაა. თუ სხვას არ გადაედება, მაშ უნდა გამოირკვეს, საიდგან ვრცელდება ეს შეუბრალებელი ავადმყოფობა.

*** იქიდამვე: ორ ახალგაზდა თათარს, რომლებიც სადღაც ქორწილში ყოფილიყვნენ მიწვეულნი, ერთი-მეორესთან ლაპარაკი მოუვიდათ. იქ როგორც იქმნა მეგობრებმა დააშოშმანეს ისინი, მაგრამ რაინდები მეორე დღეს ქუჩაში შეხვდნენ ერთმანერთს და «ხანჯლობა» გაჰმართეს. პირველად ორთავენი ოსტატურად ათამაშებდნენ ხანჯლებს, მაგრამ ბოლოს ერთმა მეორეს ხანჯალი მუცელში ჩასცა და იქვე სული გააფრთხევინა.

*** ცხინვალი: რადგან პატარა ლიახვის ხიდის აშენება და შეღებვა გათავდა და მთავრობის მიერ გამოგზავნილ ინჟენერმა კრუგლიკევიჩმა ჰნახა და მოიწონა, ამისთვის ცხინვალის საზოგადოებამ და მის ახლომახლო სოფლებში მცხოვრებთ გადასწყვიტეს, რომ მომავალ კვირას, ესე იგი დეკემბრის ხუთს აკურთხონ ხსენებული ხიდე, რომელიც ააშენა თავისი ხარჯით ადგილობრივმა საზოგადოებამ, და ამის გამო ნადიმიც გაჰმართონ.

*** სოფ. ჭილურტი (დუშეთის მაზრა): 13 ნოემბერს აკურთხეს აქ ახლად-აგებული ეკკლესია, რომელიც ბარე ცხრა წელიწადი შენდებოდა. კურთხევის წესი შეასრულა ბლ. მამა იასე ოქროპირიძემ ხუთის სხვა მღვდლითურთ. ეკკლესია თუმცა შარშან უკვე მზად იყო, მაგრამ მაინც ბევრი ნაკლებულობა ჰქონდა. სოფელმა, სადაც სცხოვრობს მხოლოდ 50 კომლი, ვერ შესძლო ამ საქმის დამთავრება. ბლაღოჩინმა მიჰმართა სინოდს შემწეობისათვის და იქიდამ მოუვიდა 800 მან. ამ ფულით, რომელიც შეუწირავს ვინმე პარასკევას, მოსრულდა და შეიმკო ეკკლესია. ხალხი ბლომად დაესწრო კურთხევას, რომლის შემდეგაც გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ზემოხსენებულ შემომწირველ პარასკევას სულის მოსახსენებლად.

*** სოფ. ყვარელი (თელავის მაზრა): 15 ნოემბერს, ღამის ათ საათზედ, თავ. ნ. ჭავჭავაძის ტყეს მოეკიდა ცეცხლი, რომელიც ადრე გააქრეს, მაგრამ 16 ნოემბერს ხელ-ახლად გაუჩნდა და მოედო ცეცხლი გიორგი ჭავჭავაძის ტყეს. თორმეტი საათი იყო ღამისა, როდესაც სოფლიდამ ხალხი გაიწვიეს ცეცხლის გასაქრობად. როგორც იყო, ცეცხლი გააქრეს. სამოც დესეტინამდე ტყეა დამწვარი.

*** ბორჯომი: 25 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ბორჯომის განაპირას, ესრედ წოდებულს „ფაფა“-ში, წაეკიდა ცეცხლი ფიცრულ თავლებს, რომლებშიაც ბინადრობდნენ ბირჟის მეეტლენი; ბოლოს დროს გაჩნდნენ თოფიანი სალდათები, რომელნიც მოწმენი იყვნენ ცეცხლის ონევრობისა. მოიტანეს ცეცხლის მქრობი მანქანები, მაგრამ უვარგისნი გამოდგნენ. მართალია, მტკვარი ახლოს იყო, მაგრამ „ვედრებით“ ნაზიდი წყალი რას გახდებოდა. დაიწვა ცხენების საკვები და იარაღი, ღირებული 300—350 მანეთამდე. დაიწვა ეგრედვე ერთი წყობა თავლებისა. დაზღვეული იყო ას თუმნად.

თითქმის ისე დღე არ გავა, რომ ეტლი არ გადააბრუნონ მეეტლებმა შიგ მჯდომითურთ აქაურ ფოსტის გზაზე. ამ თვის 24 მოდიოდნენ ბორჯომისკენ ხაშურიდამ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი, რომელთაც გადაუბრუნდათ ეტლი და მოჰყვნენ ქვეშ, ერთს მათგანს ვ. ძ—ს დაუშავდა ორთავ ხელები, ხოლო მეორე ვ. კ. უვნებლად გადარჩა. ეტლის უვარგისობა ყოფილა მიზეზი გადაბრუნებისა.

## დამაკვირდი

სიჭაბუკე დაუსრულებელი ზარხოშად ყოფნაა, ციებ-ცხელება—გონებისა.

ლაროშფუკო

**

უსწავლელისათვის მოხუცება დიდი უბედურებაა.

დე ფანი

**

იმედი უძილო სიზმარია.

არისტოტელი

**

ზოგიერთს შემთხვევაში ქონება და გაუცემლობა ქურდობაზედ უარესია.

ებნერი ეშენბახი

**

ხშირად სხვაგან გარბიან იმის საძებნელად, რაც სახლშივე მოეპოვებათ.

ფონტენი

## ხმა ქუთათურისა

ბ-ნი თავმჯდომარე ჩვენის ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა გვიცხადებს გაზეთებით, რომ 10-ს დეკემბერს 1893 წ. კრება იქმნება ბანკის წევრთა და შეიკრიბენითო. სამი წევრი ზედამხედველ კომიტეტისა გაზეთებითვე გვიცხადებენ,—არა, თავმჯდომარეს ნუ დაუჯერებთო, კრება დანიშნულია ჩვენგან 20 მარტს 1894 წელს.

რომელს ერთს დავუჯეროთ? ან როგორ ჰბედვენ, რომ მთელს თავად-აზნაურობას მთელის იმერეთისას, გურიისას და სამეგრელოსას იმისთანა მდგომარეობაში აყენებენ, რომ უნდა ვკითხულობდეთ, რომელ ერთს დავუჯეროთო.

ეს რა ამბავია? მაშ ეს ამოდენა პატიოსანი ხალხი, ეს ამოდენა თავად-აზნაურობა რანი ვართ, რომ ასე გვათამაშებენ, ასე გვეთამაშებიან, ასე ბურთსავით ხან იქით გვაგდებენ, ხან აქედ? ვითომ რანი ვგონივართ? ჩვენ კაცები, ადამიანები არა ვართ, თუ რა არის, რომ ორსა და სამს კაცს თავზე ხელი აუღია და მთელს საზოგადოებას, მთელს თავად აზნაურობას საქვეყნოდ სასაცილოდა ხდიან.

ჩვენ ჩაგვიბარებია ჩვენი ერთადერთი საზოგადო საქმე—ბანკი ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტისათვის და ნუ თუ მარტო იმიტომ, რომ ხმა ამოუღებელ მოწმედ ვიყვნეთ, როცა თვითონ ბანკსაც ძირს უთხრიან და ჩვენც, მთელს ამოდენა საზოგადოებას, ამოდენა თავად-აზნაურობას ასე სამარცხვინოდ ხელში ბურთსავით გვათამაშებენ მთელის ქვეყნის წინაშე, თითქო ჩვენ არც ჩვენის საკუთარის ღირსების გრძნობა გვქონდეს, არც არა რაიმე პატიოსნური თავ-მოყვარეობა და თითქო ჩვენი ბანკი, რის ყოფით დაარსებული, რის წვალებით და ჯაფით წარმართული, ერთისა და ორის კუთვნილება იყოს და არა მთელის საზოგადოებისა, მთელის თავად-აზნაურობისა!

კიდევ ვკითხულობ, ეს რა ამბავია ჩვენს თავზე? ადამიანები ვართ, თუ ფარა ცხვრისა!.. რა ამბავია ეს, რა ამბავი! განა შესაძლოა ამისთანა ოინები თუ არ იმ იმედით, რომ თვითეული ჩვენგანი და ყველანი ერთად მჩვრად მივუჩნევივართ და აბა მჩვარი რას გამოგვექიდებაო.

როგორ? განა ასე უნდა დაგვიბრიყონ, განა ასე უნდა გავუჩუმდეთ ამ სამარცხვინო სეირს და თვითონ ჩვენ არ უნდა შევიყარნეთ და ჩვენს შემარცხვენლებს, ჩვენს ასე ნაირად გამაუპატიურებლებს არ უნდა მოვკითხოთ პასუხი? განა არ უნდა გამოვიძიოთ, ვინ არის ყოველ ამაში დამნაშავე და დამნაშავეს თავისი არ მივუწყოთ!

ნუ თუ მთელს ამოდენა საზოგადოებაშიდ, ამოდენა თავად-აზნაურობაშიდ გული არავის ემღვრევა სამართლიანის გულის წყრომითა? ნუ თუ მართლა ადამიანები აღარა ვართ, რომ ვიგრძნოთ ჩვენი გაუპატიურება და ნუ თუ ჩვენის საკუთარის ღირსების დასაცველად რაიმე კანონიერს ღონისძიებას არ უნდა მოვკიდოთ ხელი? რატომ ეგრე მიგვიშვია ალვირი, თითქო ამისთანა უკადრისი საქციელი ჩვენ-მიერ დაყენებულ კაცებისა ჩვენი საგრძნობელი არ არის, ჩვენ არა ნაირად არ შეგვეხება! განა რიდი და თავაზი არ უნდა ჰქონდეთ მთელის ჩვენის საზოგალოებისა, რომ ასე გვეპყრობიან. ასე მოურიდებლად, უმართებულოდ ყურ-მოჭრილ ყმასაც არ მოექცევიან და ჩვენ როდის გავხდით ყმებად ჩვენის ამორჩეულ კაცებისა? თითქო ჩვენი საქმე არ იყოს ამისთანა სეირს, რის მოწმენიც ჩვენა ვართ, რითიმე ბოლო მოვუღოთ და გზიდამ ჩამოვიცალოთ ისინი, ვინც ასე გაგვიმტყუნა იმედი კაიკაცობისა, ვინც ასე უგულოდ, უსულოდ, უპატიურად გვექცევა ჩვენ, მთელს საზოგადოებას, მთელს თავად-აზნაურობას და ჩვენ-მიერ მინდობილს საზოგადო საქმეს ფეხ-ქვეშ სთელვენ მარტო იმისთვის, რომ მე ასე მნებავსო და თქვენ ხომ მჩვრები ხართ, ხმას არ ამოიღებთო და ან ვინა ჰყრიხართო.

სიკვდილი ურჩევნია კაცს იმისთანა საზოგადოებაშიდ ცხოვრებას, რომელსაც ასე თავზე ხელ აღებულ კადნიერებით ექცევიან და იგი-კი გაჩუმებულა და ხმას არ იღებს ვითომდა აქ არაფერიაო.

რაკი გრძნობა საკუთარის ღირსებისა ჩვენში ასე დამცირებული ყოფილა, რომ ამისთანა გათელვა და გადალახვაც არ აღვიძებს, რაკი ამისთანა გაუპატიურებაც დღეს ერთად არ შეგვკრებს, რომ ჩვენს თავს რამე ვუწამლოთ და მინამ დროა, ჩვე-

---

დასჭრა ისრით, გაამწარა,
მაგრამ გედი ცოცხალია
და ჭრილობით არ მომკვდარა!
დევადატამ მოუსპო გედს
მხოლოდ საღმრთო ძალა ფრთისა,
მაგრამ მით არ ვკარგავ იმედს,
ის მორჩება ნებით ღვთისა;
რომ მოეკლა მონადირეს—
გაგატანდი: წესი არი,
მაგრამ რადგან ჰგრძნობს სიცოცხლეს,
გედს ვერ მივცემ, ჩემი არი!..
დევადატამ, რა სცნა ესა,
მსწრაფლ აღენთო, ვით აბედი,
და მრისხანედ მეფის ძესა
მან მოსთხოვა თეთრი გედი.
„სანამ გედი ცის კამარას
ნავარდითა შეჰხაროდა,
სული ედგა, შიშს არა რას
თავის გულში არა ჰგრძნობდა—
მანამდისინ დამფრინავი
ის არავის ეკუთნოდა,
მეფედ ჰყავდა თავის თავი,
თავის თავზე თვით უფლობდა,—
მაგრამ რა-კი მე ისარი
ვსტყორცნე მას და მე მოვკალი,
გედი ახლა ჩემი არი,
მე ვარ მისი აწ უფალი!»
სიდართხამ-კი ამ სიტყვებზე
ჩაიკონა გედი მძლავრად,
სიბრალულის ცრემლი-თვალზე
მოადგა და უთხრა წყნარად:
არა! არა! ვერ მოგცემ გედს,
მაგას უნდა მოვუარო,
დავუბრუნო ეგ სიცოცხლეს,
გავამხნევო, გავახარო;
თვით განგებამ გამომნახა,
რათა მადლი სიბრალულის
დღეს პირველად დამესახა
მასთან წრფელი სიყვარულის,
უნდა ვიყო ტანჯულთ მხსნელი,
უნდა მივსცე სულით შვება,
ვიყო ჩაგრულთ დამფარველი
განვამტკიცო წმინდა მცნება;
მსურს ვასწავო მე უძლურთა
შეწყნარება, სიბრალული,
მსურს დავაშრო მე ზღვა ცრემლთა,
დავუამო საპყართ გული;
თუ გავყვებით უმჯობესს რჯულს
ურთიერთა კაცთა ძმობის,—
სცან—ნება აქვს ყოველ სულდგმულს
თავისუფალ არსებობის...
თუ არ მოგწონს სიტყვა ჩემი,
მოუწოდოთ ბრძენთა კრებას,
ბრძენთა დასდონ განაჩენი,
დავემონოთ იმათ ნებას!“..
ბრძენთა კრება მოიწვიეს,
კამათობა ჰქონდათ დიდხანს,
ათას გვარად გაარჩიეს,
ვერ დაადგენ ვერა რა გზას.
მაშინ ადგა კაცი ერთი
ღვთის მსახური დინჯად, წყნარად,
ახსენა მან პირველ ღმერთი,
გარდასწყვიტა მან ამ გვარად:
„თუ სიცოცხლეს რამ ფასი სდევს,
გედი უნდა ბატონიშვილს
მივაკუთნოთ, კეთილს, მფარველს,
სიბრალულით, მადლით მოსილს!
მკვლელი აქრობს სიცოცხლეს, სპობს
და აბნელებს იმას მარად,
მფარველი-კი მადლით ამკობს
გრძნობებს და გულს გასახარად
და ასრულებს ღვთის მცნებასაც!..
ამისათვის ცით მოვლენილს,
გედის დამხსნელს, გამკითხველსა
მადლი ვუძღვნათ ბატონიშვილს“!..
მოეწონა სიტყვა კრებულს,—
დაეთანხმენ ამ მადლიანს,
და უცნობსა, უცხო მსაჯულს,
მისს განაჩენს სამართლიანს.
მეფეც ადგა სათაყვანოდ,
იგრძნო ბრძენის მადლი, ძალა,
მაგრამ ბრძენი თვალ უჩინო
შეიქმნა, მსწრაფლ დაიმალა.
მხოლოდ ერთმა თვალი მოჰკრა,
რომ სახლიდან ჩუმად ჭრელი
გასრიალდა კარში, გაძვრა,
ველი სიბრძნის დამსახველი...

—

ხშირად ღმერთი კაცთ-ნათესავთ
ამ გვარ სახით ევლინება,
რათა საქმეს ბოროტს და ავს
აშოროს მისი ნება;
რათა სიბრძნის, სიყვარულის
ტაძრათ გახდეს კაცის გული,
რათა იქნეს სიბრალულის
მაშვრალთადმი მოციქული!..

გრ. აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ღირსების მთელელნი და გამაუპატიურებელნი თავიდამ მოვიშოროთ, ბარემაც გულ-ხელი დავიკრიბოთ და წყალში ჩავცვივდეთ, ისა სჯობია. რაღა კაცნი ვართ, რაღა პირით გამოვიდეთ ქვეყნის წინაშე, როცა ჩვენ-მიერ ამორჩეულნი კაცნი ასე მჩვრათა გვხდიან და გვაბიაბრუებენ, რომ იმის თაობაზედაც-კი,—რა დროსათვის მოვიწვიოთ კრებაო,—ერთმანეთი ვერ გაუტანიათ, ერთმანეთს ვერ შესჯერებიან და მთელს საზოგადოებას თავს ერთი იქით უშვრება და მეორე აქედ, როგორც ფარას ცხვრისას კომბალი მწყემსისა.

როგორ გვიბედავენ ამას? ვინ გვიბედავს, ვინ? ვაი დროვ და ვაი თავმომწონე თავად-აზნაურობავ იმერეთისავ, რომ ამაებს არა ჰკითხულობ და ამისთანა ოინებს შენს თავზე, შენს ღირსებაზე ხმა ამოუღებლივ, იტან!.. ვაი ღირსებავ კაცურ-კაცობისავ!.. ვაი ჩვენო თავო!..

ქუთათური

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იოსებ ზაუტაშვილს, ბეგლარ ვართანოვს და მაცკან სარქისოვს, რომელთაც შემოსწირეს ყვარლის ორ-კლასიან სასწავლებლის ღარიბ შეგირდთა სასარგებლოდ სამი თუმანი, თითომ 10 მ.

ყვარლის ორ-კლასიან სასწავლებლის მმართველი

დ. დუმბაძე

## ბორჯომის ხეობის გლეხების საქმე

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ბორჯომის ხეობაში მცხოვრებელ გლეხობას უარი უთხრა საგლეხო საკრებულომ, თქვენ ხიზნები-კი არა, იჯარადრები ხართო.

დაწვრილებითი გარემოება ამ საქმისა ასეთია. 1872 წელს ბორჯომის ხეობა ებოძა ჩვენში ნამესტნიკად ყოფილს დიდ მთავარს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს. კავკასიის კომიტეტის განჩინებაში, რომელიც უმაღლესად დამტკიცდა, ნათქვამია, რომ ბორჯომის ხეობაში დამკვიდრებული 84 კომლი ჩაირიცხონ ხაზინაში და მიეცეთ ნადელი, როგორც სახაზინო გლეხებს. ამ დროიდგან ამ გლეხებს განაგებს ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულის გამგეობა და ბორჯომის მამულის გამგეობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

ამ 84 კომლის გარდა ბორჯომის ხეობაში სცხოვრებდენ 166 კომლი, რომელიც დროებით იყვნენ მოსულნი ტყის სამუშაოდ. ამათ შესახებ იმავე უმაღლესად დამტკიცებულ განჩინებაში ნათქვამია, რომ დროებით მოსულთ არავითარი უფლება არა აქვთ, ითხოვონ სახნავ სათესი და თუ მოისურვებენ ისარგებლონ მამულით, უნდა პირობით შეეკრან ხოლმე ბორჯომის მამულის გამგეობას.

პირველში დროებით მოსულნი სიტყვიერ პირობეებს უდებენ მამულის გამგეობას, შემდეგ-კი წერილობით პირობებს აძლევენ ექვს-ექვსი წლით. ამასთანავე დროებით მოსულნი მკვიდრად მოეწყვნენ, გააშენეს რამდენიმე სოფელი, ააგეს ეკკლესიები, აიშენეს ქვითკირის სახლები და ფიქრიდაც აღარ მოსდით, რომ როგორც იჯარადრებს შეუძლიან უთხრან, წადით, ახლა სხვა უნდა დავაყენოთ, ან ისეთი ხელშეკრულობა მოგვეცით, როგორიც ჩვენ გვინდაო.

ასეც მოხდა. 1889 წელს გავიდა ვადა უკანასკნელის ხელშეკრულობისა. ბორჯომის ხეობის გამგებელმა ბ-ნმა მარკკრაფმა გადასახადს მოუმატა და ამის მიხედვით ახალი ხელშეკრულობანი უნდა დაიდვასო. გლეხებმა იტკიცეს, მამა-პაპას აქ უცხოვრია, მკვიდრად დავბინავდით, რაც გვიძლევია, დღესაც გადვიხდით. ჩვენთვის აუტანელ პირობებს ხელს არ მოვაწეროთო და უარი სთქვეს. ამის შემდეგ რამდენიმე არზა მიართვეს როგორც მთავარ-მართებელს, აგრედვე გუბერნატორს, დახმარება და მფარველობა გაგვიწიეთო. ასე აირ-დაირია საქმე და გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო, როდესაც გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული 3 თიბათვეს 1891 წელს ხიზანთა დებულება. გლეხებმა ისარგებლეს ამ კანონით და უწოდეს თავიანთ თავს ხიზნები.

საქმე გაირჩა ჯერ მომრიგებელ შუა კაცთან, რომელმაც უარი უთხრა გლეხებს, თქვენ ხიზნები-კი არა, იჯარადრები ხართ და თქვენი საქმე ექვემდებარება საგლეხო დაწესებულებას-კი არა, არამედ სასამართლო დაწესებულებას. ამ განაჩენზე გლეხებმა საჩივარი მიართვეს საგლეხო საკრებულოს, რომელიც თითქმის 3 დღეს მოუნდა მათის საჩივრის განხილვას და ბოლოს შემდეგ დიდის ბაასისა და სჯისა, დაადგინა ხმის უმეტესობით: უარი ეთქვას ბორჯომის ხეობაში დამკვიდრებულ 203 კომლ კაცს ხიზნობაზე, რადგან უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის კომიტეტის განჩინებაში ისინი მოხსენებულნი არიან, როგორც დროებით მოსულნი ტყის სამუშაოდ და აგრედვე იმ საფუძვლის მიხედვით, რომ 1888 წელს დიდის მთავრის მამულში დაწესდა მაიორატი. ამ გვარ მამულებში კი არავითარი შეზღუდვა მამულის მესაკუთრესი კანონით არ შეიძლება.

ხიზნობის მაძიებელნი ამბობდენ, რომ როცა ხიზანთა დებულება დამტკიცდა, ჩვენ წერილობით ხელშეკრულება არა გვქონდა მამულის გამგეობასთან. მაგ კანონის პირველი მუხლის ძალით ჩვენ ხიზნებად უნდა ვიქმნეთ ცნობილნი.

სჯა-ბაასის დროს საგლეხო საკრებულოში გამოირკვა, რომ პირველი მუხლი ახალის კანონისა შეეხება მათ, ვინც წინადაც იყო ცნობილი და არა იმათ, ვინც მაგ კანონამდე იჯარადარი იყო. ამ აზრს არ ეთანხმებოდა უმცირესობა და ამტკიცებდა, რომ რადგან 3 თიბათვეს 1891 წელს მაგათ ხელწერილები არა ჰქონდათ, ხიზნებათ უნდა იყვნენ ცნობილნი.

საქმე, როგორც მოხსენებულ იყო, გადაწყდა ხმის უმეტესობით ხიზნობის მაძიებელნი უკმაყოფილონი დარჩნენ საგლეხო საკრებულოს გარდაწყვეტილებით და აპირობენ საჩივარი მიართვან უმართებელესს სენატს. სენატის გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, დიდი და პრინციპიალური მნიშვნელობა ექმნება, რადგან განმარტებს, როგორ უნდა გვეყურებოდეს პირველი მუხლი.

## კორესპონდენცია

**სოფ. რუისპირი** (თელავის მაზრა)! ამ ჟამად კახეთში სკოლების სარევიზიოდ დაიარება ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი პავლოვი. ის თითქმის ყველა სკოლასთან აგროვებს სოფლის საზოგადოებას და სკოლის საჭიროებაზედ ესაუბრება.. ამ აზრით ნოემბრის ოთხს სოფ. რუისპირში სკოლასთან შეიყარა ხალხი, რომელიც, იმის გამო, რომ გვიან შეეტყო ინსპექტორის სურვილი, ნაკლებად შეგროვდა. ინსპექტორმა ხალხს უთხრა: „რუსეთში და ბევრგან კავკასიაშიაც საზოგადოებანი თავიანთ საკუთარის ხარჯით ინახავენ სკოლებს, და წესიც ეს არის, თქვენ-კი ისე მცირე გარდასახადი (275 მ.) შეგაქვთ ხაზინაში თქვენის სკოლის შესანახავად, რომ ის ფული მასწავლებლსაც ვერ აკმაყოფილებს, განაღამც თუ სხვა და სხვა სკოლის მოთხოვნილებას და საჭიროებას გაუძლებს. აქამომდე ჩვენ ყოველწლივ მთავრობას ვსთხოვდით ფულს, რომ სწავლისათვის საჭირო ნივთები გამოგვეგზავნა. ეხლა-კი მთავრობა უარს გვიცხადებს და გვეუბნება: დროა საზოგადოებამ შეიგნოს, რომ მისი საკუთარი სკოლა მისივე შესანახია და არა ჩვენიო. თუ გსურთ, რომ კვლავინდებურად ჩვენ გიგზავნოთ სკოლისათვის საჭირო სასწავლო ნივთები, თქვენ უნდა თავის გარდასახადს სკოლის შესანახად კომლზე თითო აბაზი მაინც მოუმატოთ, რომ ხსენებულის ნივთების ფასი შესდგესო. თუმცა ამას არ იზამთ, ბოლოს საქმე ისე წავა, რომ ვინც შვილს მიაბარებს სკოლაში, სწავლისათვის საჭირო ნივთების სყიდვაც იმას მოუნდება“. ხალხმა ამაზე უპასუხა: „ეგ ყველაფერი ძალიან პატიოსანი, მაგრამ ჩვენი გაჭირვება მეტის-მეტია: უდედულ-მამულობამ შეგვაწუხა, ამანათად გვაქცია, ბოგანო ხალხად გარდაგვქმნა, მრავალნაირმა გარდასახადმა გაგვაწყალა, სიღარიბე სულს გვხუთავს, სულს იქით აღარაფერი შეგვრჩენია-რა ცხოვრების სახსარი აღარა გვაქვს, ვეღაფერი მოგვიხერხებია ჩვენის უნუგეშო მდგომარეობისთვის! და ამიტომ ჩვენ ახალს გარდასახადს ვერა გზით ვერ ვიკისრებთ და იმაზე-კი ყაბულს ვიქნებით, რომ ბავშვის პატრონმა თვითონ იკისროს სწავლისათვის საჭირო ნივთების სყიდვაო“.. ამაო იყო ლაპარაკი ინსპექტორისა, მღვდლისა და მასწავლებლისაც: „ისევ საზოგადოდ და საერთოდ გაიღეთ ნივთების ფასიც, რომ ყველას, მდიდარს თუ ღარიბს, თანასწორი საშუალება და ნება ჰქონდეს სკოლაში სწავლისა, ნუ უჯიბრებთ ერთიერთმანეთს,— ხალხს არაფერი არ ესმოდა... ბოლოს ინსპექტორმა უთხრა მოხელეთ მოეხდინათ სრული და კანონიერი ყრილობა, მოელაპარაკნათ ამ საგნის თაობაზედ და განაჩენიც დაედგინათ, ხოლო მასწავლებელს დაავალა განაჩენის რუსულად გადათარგმნა და ორივე პირის გაგზავნა ინსპექციაში.

ფშაველიშვილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „Рус. Вѣд.“-ი სწერს: პეტერბურგის გიმნაზიების რევიზიის შემდეგ საერო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ ამ გიმნაზიებში ბერძნულისა და ლათინურის ენების გრამმატიკით შესწავლის პროგრამმა კარგი ვერ არისო. ამიტომ საისტორიო საფილოლოგო ფაკულტეტებს დაეკარგად უწინდელი მნიშვნელობა,

რადგანაც ამ ფაკულტეტს დანიშნულება აქვს — მოამზადოს სპეციალისტი მასწავლებლები გიმნაზიებისთვის—და ამ გიმნაზიების პროგრამმა-კი შეცვლილი იქმნა.

იმედიაო, დასძენს ზემოხსენებული გაზეთი, რომ სამინისტრო ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და შესცვლის საისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტების პროგრამმას, გიმნაზიების პროგრამმის მიხედვით.

## სულიერი გათახსირება

უიმედობა აშინებს ადამიანის გულს, როცა შესცქერი ეხლანდელ ბავშვებს. ხშირად ნახავთ 12—13 წლის ყმაწვილებს ქალებსა და ვაჟებს, რომლებიც სულ 8—9 წლისა გეგონებათ. უყურებ ამ ფერ-მიხდილ გამხდარ პაწია ქალებსა და ჰფიქრობ, რა შვილები უნდა დაჰბადოს და აღზარდოს შემდეგში ასეთმა ქალმა და ან რა დედა იქმნება თავის შვილებისა. მრავალი ბავშვი ისე განუვითარებელია გონებითაც, როგორც ფიზიკურად. საკვირველი ამბავი ხდება სკოლებში: ხშირად მხოლოდ ორიოდ-სამიოდე ბავშვი სწავლობს კარგად, დანარჩენთა შორის ნახევარი რიგიანადა სწავლობს და მეორე ნახევარი სულ ცუდად. ბავშვებს ისეთი უგულისყურობა ეტყობათ, რომ მასწავლებელმა არ იცის რა ჰქნას და რა საშუალებას მიჰმართოს. ვერც ხასიათი აქვთ კარგი ეხლანდელ ბავშვებს: ჯიუტობას, ამპარტავნობას, შურს უფრო იშვიათად შეხვდებით, ვიდრე კარგს რასმე თვისებას. ვის ედება ამის ბრალი? რა თქმა უნდა, თვით ბავშვები დამნაშავენი არ არიან. მშობლებიც ყოველთვის არ არიან ამაში დამნაშავენი. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში-კი მშობლებს დიდი ბრალი ედებათ. ხშირად შეხვდებით ისეთს მშობლებს, რომელთაც თავიანთი შვილები გენიოსებად მიაჩნიათ და ამიტომ ძლიერ ადრე აწყებინებენ სწავლას და აუძლურებენ მომეტებულის მეცადინეობით. როგორ შესძლებენ მერე ბავშვობიდგანვე დაქანცულნი, დაღლილნი, ძალ-ღონე გამოლეულნი სასტიკს ბრძოლას ცხოვრების არსებობისთვის. შეხვდებით აგრეთვე ისეთს მშობელთ, რომელნიც მეტის-მეტად ანებივრებენ შვილებს, მშობლები მზად არიან თავი დააგირაონ, ოღონდ ჩვენს შვილს არა მოვაკლოთ რაო. ბავშვიც ნებივრდება, ეჩვევა მდიდრულ ცხოვრებასა და ფუფუნებას და შემდეგ მონა ხდება თავის მოთხოვნილებათა და ჩვეულებათა და ველარ შესძლებს ბრძოლას ცხოვრებაში. მრავალნი მშობელნი სცდილობენ რაც შეიძლება უფრო მეტი ვასიამოვნოთ ჩვენს შვილებსაო. თითქმის ორის წლიდგან სად არ გინდათ არ დაჰყავთ. ბავშვის გული ეჩვევა სიამოვნებას, თანდათან სულ ახალ გასართობსა და სასიამოვნოს მოითხოვს და ბოლოს ყველაფერი ჰბეზრდება. ძლიერ ცუდია აგრეთვე, ბავშვებს რომ ბევრს წიგნებს აკითხებენ. ბავშვი მართალია ბევრსა კითხულობს, ბევრსა სწავლობს და იძენს, მაგრამ კარგად არა დაახსომდება-რა, არასისწავლის რიგიანად, არას შეითვისებს. ცუდად იქცევიან ის მშობლებიც, რომელნიც სასტიკად ეპყრობიან ბავშვებს და უდროო დროს ასწავლიან ათას გვარ მოვალეობას. ყველა ეს არის მიზეზი, რომ იშვიათად თუ შეხვდებით ეხლა ჯანსაღსა და მხიარულს ბავშვს. მერე რატომ? იმიტომ, რომ ათასი მოვალეობა და დარდი აწუხებს: მოვა გაკვეთილების შემდეგ სკოლიდგან და მთელ დღეს ალამებს, სკოლაში მოცემული გაკვეთილები დავისწავლოო და ხშირად 12—14 საათს მეცადინეობს. რა თქმა უნდა, რომ ასეთი შრომა აუძლურებს ბავშვის ჯანსა და გონებას.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** რუსულის გაზეთის „Новости“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება: ოსმალეთი კვლავ თვალ-ყურს ადევნებს იმას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ინგლისის მთავრობასა და ერსა და იმ სომეხთა მეამბოხეთა შორის, რომელნიც ლონდონში სცხოვრობენ. მან უკვე დაჰგზავნა პასუხი ინგლის-სომხეთის კომიტეტის უკანასკნელ ცირკულიარის შესახებ, იმ ცირკულიარისა, რომელიც სტამბოლში სექტემბერში მოიტანა ინგლისის საპოლიტიკო მოღვაწემა და გავლენიანმა ჟურნალისტმა. ამას გარდა, ოსმალეთმა დეპეშა გაჰგზავნა ლონდონში, რომელშიაც მწარედ სჩივის ბ-ნ ბრაკაზედ, დედოფალ ვიქტორიას მინისტრსა და სტატსკი სეკრეტარზედ, ვითომ ხელს უმართავს, აქეზებს იმ სომეხ მეამბოხეთ, რომელნიც ლონდონში სცხოვრებენო.

სტამბოლში ხმა-მაღლა აცხადებენ უკმაყოფილებას იმის შესახებ, რომ ინგლისელები ოსმალეთის შინაგან პოლიტიკაში ერევიანო. ინგლისის გავლენა აღმოსავლეთისკენ შეიძლება არსებითად შესუსტდეს. ოსმალეთში უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ ინგლისი თუ მხარს უჭერს სომხებს, საიდუმლო და უანგარო მოსაზრებითა ხელ-მძღვანელობსო. თუ ლონდონის კაბინეტმა თავისი არ დაიშალა და აწინდელი პოლიტიკა არ შესცვალა, ოსმალეთი იძულებულ იქმნება რუსეთს მიემხროს, რადგან რუსეთის დიპლომატია არასოდეს არ ერეოდა მცირე აზიაში სომხების მდგომარეობის წვრილმანში. ოსმალები დაუყოვნებლად მოურიგდებიან რუსებს, თუ სომეხთა მეამბოხენი და მათი ინგლისელი მეგობრები არ მოიშლიან მცირე აზიაში ხალხის აღელვებას. ის ხმა, რომ ვითომ სომხებს განზრახვა აქვთ რუსეთის მფარველობას შეეკედლნენო, საფუძველს მოკლებულია, თუმცა წინად დაბეჯითებით გაიძახოდნენ, რომ კათალიკოსი უკვე მოლაპარაკებაშია ამ საგნის შესახებ რუსეთის მთავრობასთანაო. ამას წინად, თვით სომეხთა საქმის ხელ მძღვანელებმა განაცხადეს, რომ მაგ საქმის განხორციელება ყოვლად შეუძლებელიაო.

**საფრანგეთი.** პარიზის სოციალისტები შეგროვდნენ ამას წინად და ბანკეტი გაუმართეს ახლად არჩეულ სოციალისტ-დეპუტატებს. ბანკეტზე მრავალი სიტყვა წარმოითქვა. სხვათა შორის სიტყვა წარმოსთქვა სო-

ციალისტმა დეპუტატმა ჟორესმა. ამ სიტყვიდგანა სჩანს, ამიერიდგან რა გზას უნდა დაადგნენ სოციალისტები. ჟორესმა სთქვა სხვათა შორის:

ჩვენს პირველს დებიუტს ჩვენი გამარჯვება მოჰყვა. მთავრობამ მოინდომა ხალხი დაეშინებინა სოციალისტებით და ამით მიემხრო უმრავლესობა, მაგრამ ეს მთავრობა ისევ იმ სოციალისტებმა გადააყენეს. საქმე ის არის ეხლა: ამიერიდგან რა გზას უნდა დავადგეთ. მე ორი ჰიპოტეზა მაქვს: თუ დიუპუის სამინისტრო დარჩა ან გადაკეთდა, ამით ჩვენ თუ არას მოვიგებთ, არას წავაგებთ. მეორე ჰიპოტეზა: შეიძლება ზომიერი სამინისტრო დაარსდეს. ეს სამინისტრო ჩვენი წინაამდეგი იქმნება. უფრო კარგი: ჩვენ მოგვწყინდა ეს ჭრელი სამინისტროები, სადაც რადიკალები ოპორტუნისტებს ემეგობრებიან. მესამე ჰიპოტეზა: ეხლანდელ პალატაში უმრავლესობას თუ სოციალისტები არა, არც რეაქციონერები შეადგენენ. თუ ახალი სამინისტრო პროგრესიული იქმნება, თუ ჩვენს წინააღმდეგ არ იმოქმედებს, ჩვენ მოვალენი ვიქმნებით ხელი შევუწყოთ, და მომარჯვენეთა დასს არაოდეს არ მივემხროთ და არ ვეცადნეთ სამინისტროს დამხობას.

—

პარიზის მუშათა შორის გავრცელდა პროკლამაცია წინააღმდეგ მთავრობისა. პროკლამაცია ბრალს სდებს მთავრობას, იგი სდევნის მუშათა სინდიკატებს და მაშასადამე მთელს მუშა-ხალხსა. იგი ჰმონობს და ემსახურება ფულს და სცდილობს დაასუსტოს, დაჰშალოს მუშათა სინდიკატები და დაგვაუძლუროს. პროკლამაცია ასე თავდება:

მუშაკნო! თუ ვინიცობაა მთავრობამ გაჰბედა წინააღმდეგობა მუშების დაწესებულებათა—თქვენი ვალია ყველანი გავიფიცვნეთ სათითაოდ. მუშათა გაფიცვის კომიტეტი თავის მხრივ აასრულებს თავის მოვალეობას და როცა საჭირო იქმნება, გამოაცხადებს, დრო დადგა გაფიცვისაო. მუშაკნო, მზად იყავით! გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას! გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას!

პარიზის გაზეთები, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულნი არიან ამ პროკლამაციით და აცხადებენ, სოციალიზმი ერის მართვას ეპოტინებაო; ისინი გვემუქრებიან მთელის ერის წარმოებას შევაჩერებთო და იზამენ კიდეც ამასა, თუ მთავრობის მიერ აღმოჩენილ ღონისძიებათ მეოთხე წოდება არ დაეთანხმა.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

Объяснительный словарь татарскихъ, грузинскихъ и армянскихъ словъ, вошедшихъ въ матеріалы для изученія экономическаго быта государственныхъ крестьянъ закавказскаго края, შედ. ს. ვ. ზელინსკის-მიერ.

ამ ლექსიკონში მოყვანილია ყველა ის სიტყვები, რომელიც იხმარება მიწად-მოქმედთა წრეში—სიტყვები ხვნა-თესვისა, ბაღ-ვენახისა, სახელები იარაღებისა, ქსოვა-კერვისა და სხ. და სხ. ყველა ეს სიტყვები თარგმნილია და ახსნილი რუსულად. ავტორი აქა-იქ იმასაც აღნიშნავს, თუ რომელი ენიდგან შემოსულა ეს თუ ის სიტყვა და ცნობა.

ეს ლექსიკონი (ქართულ ნაწილზედ მოგახსენებთ) ფრიად საყურადღებოა მით, რომ მასში შემოკრებილია მრავალი ახალი სიტყვა, რომელიც იხმარება საქართველოს რომელსამე კუთხეში და საზოგადო ქართულს ენაში-კი აღარ იხმარება. ამ მხრივ შრომა ზელინსკისა რაოდენათმე შეავსებს და შეავრცობს ქართულ ლექსიკონს.

ამ გვარ სიტყვებად მიმაჩნია, მაგ., გახარვა, გათერძვა, გაოშვა. გახარვა—მესამეჯერ გადახვნა ნახნავისა, გათერძვა—პირველ გზობის გადახვნა, გაოშვა—მეორედ გადახვნა. გორო (მეგრულად)—საწყაო, წონით ერთი ფუთი და 32 გირვანქა. (საქართველოს სხვა კუთხეში ეს საწყობი იხმარება თუ არა, არ ვიცი. ხოლო მეათე საუკუნის მწერლობაში (იხ. შატბერდის ქრისტომატია, წმიდათ ცხოვრება) გორო ანუ გარა ხშირად შეგხვდება. ამ სიტყვას იხსენიებს საბაცა და ჩუბინაშვილიც, რომელიც ამბობს, რომ გორა უდრის 16-ს დოქს და წონით არის ორი ფუთიო).

ძარა—ოცდაათი ხელეული. მაშასადამე ძარა უდრის ძნას, რომელსაც რაჭაში უწოდებენ აგრეთვე წერს, ხოლო სვანები ლუნ-ჩვერ.

სკამ-ლოგინი (იმერეთში)—კრაოტი. ამ კრაოტის მნიშვნელობით ინგილონი, მეგრელნი და აჭარელნი ხმარობენ აგრეთვე ლოგინს.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მრავალი ტერმინი საქართველოში კიდით-კიდე გაბნეულია და საჭიროა ყველა შემოიკრიბოს. მაგ. დღეს რომ ჩვენ წერაქვს ვამბობთ, მეგრელები ამბობენ წარკანტი, სვანები წაკალტ და წაკატ, ხოლო წინად ეს სიტყვა საზოგადო ხმარებაში ყოფილა და ჰრქმევია წალკატი. (იხ. საბას ლექსიკონი).

დღეს მეგრელები ისრის მაგიერ ამბობენ საგანი. ხოლო საბას ახსნით საგანი ყოფილა ისრის სატყორცი ნიშანი *) (რუსულად мишень).

ნამგალს მეგრელები უწოდებენ მაგანა. მარკოზის სახარების მე-4 თავსა და მე-29 მუხლში „ნამგალს“ ჯერ ისევ ძველანდელი სახე აქვს—მანგალი. ჩაზნ-ურად ნამგალს აგრეთვე მანგალი ჰქვიან.

ბალიშის მაგიერ რუსთაველი ხმარობს სასთაულს; ინგილოთ ბალიში რა არის, არ იციან და მის მაგიერ ამბობენ სასტული (იგივ სასთაული).

მუხას მეგრელები ეძახიან ჭყონი, ხოლო საბათი ჭყორი არის ეკლიანი ჭყორნალი ანუ მუხა.

შეწირვა სვანურად ლი-მზირ (ლიმზურ) ქართულად, წარმართობის დროს, კერპების შეწირვას ერქვა მზორვა, სამზორავი; უზორა (უწირა) და აქედგან ზვარა, ზვარაკი (შესაწირავი).

დასასრულ უნდა ვსთქვათ, როდესაც თუ საქართველოს ყოველ კუთხიდგან მოიკრიბა ყველა სიტყვები, რომელნიც დღეს ქართულ დაბეჭდილ ლექსიკონებში არ მოიპოვებიან, მაშინ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ცნებათა სიმდიდრით იშვიათად თუ რომელიმე ენა შეედაროს ქართულ ენას. ამ ენას დაუცავს მრავალი სიტყვა და ჩვენ მის ნახევარიც ვერ დაგვინახსოვნია. ნიჩბის (весло) მაგიერ წინად იხმარებოდა ხოფი ანუ ხოპი, ცნებიდამ ხოპვა, მოხოპვა (загребать воду). მეგრელნი აჭარელნი და ლაზნი დღესაც весло-ს ხოფს ეძახიან, მენავეს—მეხოფოს *).

ესომ

*) მაგრამ ხშირად „საგანი“ იხმარება ისრის მნიშვნელობითაც. მაგ. იგივე საბა სწერს: „სროლა ისრისა, გინა... საგანი სროლა“ (იხ. ლექსიკონი). რაღა თქმა უნდა, საგანი (предметъ) წარმოსდგება ცნებიდამ გ ნ ო ბ ა, ხოლო საგანი (ისარი)—ცნებიდამ გ ა ნ ი, სიგანე.

*) სარწმუნოდ მისაჩნევია, რომ ქრისტეს წინა დროს მოხსენებული ზღვის პირის ქალაქი ხ ო პ ი წარმომდგარიყოს ცნებიდამ ხოპვა, ხოლო დაბა მანგლისი—ცნებიდამ მანგალი (ან ნამგალი).

## ნაზარდები

—

ინგლისელისა და ფრანგ შორის ლაპარაკი ჩამოვარდა ეროვნობაზედ. ფრანგმა თავისი ერი მეტად აქო და ბოლოს სთქვა: „ფრანგი რომ არ ვიყო, ვისურვებდი, რომ ინგლისელი ვყოფილიყავიო.“ ინგლისელი სულ ჩუმად იყო და, მხოლოდ ეხლა უპასუხა:—მე-კი ინგლისელი, რომ არ ვიყო, მაინც ვისურვებდი, რომ ინგლისელი ვყოფილიყავ.“

—

ერთხელ ნარიშკინმა იმპერატორს ალექსანდრეს I ჩინებული ნადიმი გაუმართა. იმპერატორმა ყოველივე მოიწონა და უთხრა ნარიშკინს: „უეჭველია, ეს ნადიმი ძლიერ ძვირად დაგიჯდა“.—არა, თქვენო უდიდებულესობავ,—სულ 25 მანათი დაჯდა.—როგორ თუ 25 მანათი? დიაღ, სულ 25 მანათი მივეცი ვექსილის ქაღალდში და ფული ვისესხე.

—

ვოლტერი მთავრობის ნება-დაურთველად პარიზს მივიდა. საბაჟოსთან პოლიციელებმა გააჩერეს და იკითხეს: კანონით აკრძალული რამ ხომ არაფერი მიგაქვსო.—„არაო, უპასუხა ვოლტერმა,—ერთად-ერთი კონტრაბანდა ამ ეტლში მე გახლავართო“.

## გამოსადეგი ცნობა

—

თუ ოთახში კარ-ფანჯარა ახლად არის შეღებილი წამლითა, ამ წამლის სუნი დიდ ხანს აწუხებს კაცსა. სუნის მოსასპობად შემდეგი საშუალებაა კარგი. წყალში გახსენით გოგირდ-მჟავა და დასდგით ოთახში რამდენსამე ადგილას. ეს წყალი დღეში ორჯერ სამჯერ გამოსცვალეთ. ორ-სამ დღეზედ ოთახში წამლის სუნი სრულიად გაჰქრება.

—

თუ შუშის ჭურჭელში ნავთი მდგარა, დიდხანს არ დაჰკარგავს ცუდ-სუნსა, თუ შემდგი საშუალება არ იხმარეთ. შუშას ჯერ კირიან წყალი გამოავლეთ. მერე აიღეთ კირიანი წყალი, მიუმატეთ ცოტა ხლორის კალცი და ეხლა ამითი გამოავლეთ შუშა. ნავთის სუნი სრულიად დაეკარგება.

## დეპეშა

27 ნოემბერი

**ბერლინი.** ცენტრის ორგანო „Koelnische Volks-Zeitung“-ში სწერია, რომ მეწისქვილენი და სოფლის მემამულენი სრულიად არ არიან დაინტერესებულნი, პურზედ დიდი ბაჟი დარჩეს შესახებ რუსეთისა; ცენტრი ნაკლებად უწევს ოპოზიციას რუსეთთან ხელშეკრულობის საქმეს.

**რომი.** გუშინ ცონარდელიმ უარი განუცხადა მეფეს კაბინეტის შედგენაზედ. მეფემ ნეაპოლიდგან კრისპი მოიხმო.

## პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,65 | 7,65 | — „ |
| ტრამოყნის კუპონები | 152¾ | 153½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 245⅝ |
| —მეორისა | | — „ | 222½ |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 190¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 100 | — „ | — „ |
| 5% | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 100 | — „ | — „ |
| 5% | — „ | 99 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97½ | — „ | — „ |

## განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკისა აცნობებს ხსენებულის ბანკის ბბ. წევრთა, რომ, თანახმად მისი განაჩენისა ამ 1893 წლის პირველის ნოემბრიდან, ბანკის თანამდებობის პირთ აღრჩევა, რომელიც გასულის მაისის თთვის კრებაზე არ შედგა,—მოხდება ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია მომავლის 1894 წლის მარტის ოცი რიცხვისათვის. ამასთანავე კომიტეტის თავსმჯდომარის თ-დის ა. გ. წულუკიძის განკარგულება საზოგადო კრების მოწვევაზე ამ 1893 წლის ათის დეკემბრისათვის გაუქმებულ იქმნა, როგორც წინააღმდეგი წესდების და კამიტეტის განაჩენისა 1-ს ნოემბრის ამა წლისა.

8 დეკემბერს 1893 წელს, საღამოს 8 საათზედ სომეხ-გრიგორიანთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 1894 წლის 1 იანვრიდგან იჯარით გასაცემად იმ სახლის ზემო სართულის 24 ოთახისა, სადაც გამართულია სასტუმრო „ქუთაისი“ და სამის დუქნისა, იარმუკაზედ, მესამე ნაწილში. მსურველთ შეუძლიანთ პირობების შეტყობა სამზრუნველოს კანცელარიაში, ყოველ დღე დილის 10 საათიდგან 2 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა. (1—1)

8 დეკემბერს ამა 1893 წელს, საღამოს 8 საათზედ სომეხ-გრიგორიანთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვენახის იჯარით გასაცემად სოღანლუღში. პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა, დილის 10 საათიდგან 2 საათამდე. (1—1)

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА
ЗУБНАГО ВРАЧА
А. ДЕЛЬГЕЙМЪ
ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ
МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ
СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ
ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ
„ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ“
БРОКГАУЗА и ЕФРОНА.

Для облегченія подписки на „СЛОВАРЬ“ въ виду поступающихъ многочисленныхъ заявленій объ обременительности единовременной уплаты за вышедшіе полутомы,

КОНТОРОЮ НЫНѢ УСТАНОВЛЕНЫ НИЖЕСЛѢДУЮЩІЯ УСЛОВІЯ РАЗСРОЧКИ:

1) Вышедшіе до сихъ поръ полутомы (числомъ 20) высылаются подписчикамъ ЕДИНОВРЕМЕННО, при чемъ уплачивается ЗАДАТОКЪ въ размѣрѣ отъ 10 руб.,

2) Остальная сумма (50 руб. и за пересылку 8 руб., всего 58 руб.) погашается взносами въ размѣрѣ отъ 1½ РУБ. ВЪ МѢСЯЦЪ;

3) Слѣдующіе имѣющіе выходить полутомы высылаются на общихъ основаніяхъ—съ наложеннымъ платежемъ въ 3 руб. 40 коп. на каждый полутомъ по мѣрѣ выхода.

За подробными справками и съ подпиской на изложенныхъ основаніяхъ обращаться КЪ ПРЕДСТАВИТЕЛЮ „СЛОВАРЯ“ ДЛЯ КАВКАЗСКАГО КРАЯ

Б. Г. КРЕСНЯНСКОМУ.

Въ Тифлисъ, Михайловская ул., д. № 153, а также въ центральную книжную торговлю и въ книжный магаз. Хиддекеля. Иногородные благоволятъ обращаться исключительно къ Б. Г. КРАСНЯНСКОМУ.

„ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ“
(начатый проф. И. Е. АНДРЕЕВСКИМЪ)
подъ редакціей К. К. АРСЕНЬЕВА и заслуженнаго проф. Ѳ. Ѳ. ПЕТРУШЕВСКАГО.
При участіи редакторовъ отдѣловъ:

Проф. А. Н. Бекетовъ (біологич. науки).
С. А. Венгеровъ (исторія литературы).
Проф. А. И. Воейковъ (географія).
Проф. Н. И. Карѣевъ (исторія).
Проф. Д. И. Менделѣевъ (химико-технич. и фабрично-завод.)
Проф. В. Т. Собичевскій (сельско-хозяйственный и лѣсоводство).
Владиміръ Соловьевъ (филос.).
Проф. Н. Ѳ. Соловьевъ (музыка).

„ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ“ выходитъ каждые 2 мѣсяца полутомами, въ 30 листовъ убористой печати. Въ настоящее время вышло двадцать полутомовъ.

Цѣна за каждый полутомъ безъ пересылки въ переплетѣ 3 руб., безъ переплета 2 руб. 70 коп. За пересылку 40 коп. на каждый полутомъ. Переплеты изъ шагреневой кожи съ золотымъ тисненіемъ на переплетѣ. Книги высылаются по почтѣ съ наложеннымъ платежемъ.

(5—1047—5) Издатели { А. Ф. БРОКГАУЗЪ (Лейпцигъ). И. А. ЕФРОНЪ (С.-Петербургъ).

Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Ноября 1893 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე